ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

წლიური 2017 ანგარიში

ცვლილება განვითარებისთვის

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი

06 ჩვენს შესახებ; საჯარო გახსნა
07 საბჭო და სამსახურის სტრუქტურა

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

08 გუნდი
09 საერთაშორისო გამოცდილების მოძიება და გაზიარება
12 საერთაშორისო ურთიერთობები; თანამშრომლობა ადგილობრივ უწყებებთან
13 საზოგადოებასთან ურთიერთობა

აღრიცხვა და ანგარიშგება

14 ანგარიშგების პორტალი
15 წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები
16 ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები
17 საერთაშორისო სტანდარტები; IV კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი

აუდიტი და პროფესიული განათლება

18 აუდიტორები/აურიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრის მართვა
20 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი
21 მონიტორინგისას გამოვლენილი ფაქტები
22 სტანდარტების თარგმნა; აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერა
23 პროფესიული და განგრძობითი განათლება; საგამოცდო პროცესის და განათლების პროგრამების აღიარება

შესრულება და გეგმები

24 გამოცემული ნორმატიული აქტები
25 სამსახურის ბიუჯეტი
26 მიზნები და ამოცანები

გიორგი თაბუაშვილი

მოგესალმებით,

2017 წელს, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების მიზნით განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს შორის აღსანიშნავია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმა, რომელმაც კაპიტალის ბაზრების განვითარებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი.

რეფორმის ფარგლებში ზედამხედველობის სამსახურის შექმნის შემდეგ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი სისტემა კიდევ უფრო მიუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს.

ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, სადავო საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით სამსახურთან შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო. 2017 წლის განმავლობაში საბჭოს მიერ ხორციელდებოდა კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა, დარგობრივ-პროფესიული შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა. გარდა ამისა, მიმდინარეობდა სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა.

უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საბჭო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

მე, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, დადებითად ვაფასებ გასული წლის საქმიანობას და მადლობას ვუხდი საბჭოს თითოეულ წევრს აქტიური ჩართულობისთვის.

პატივისცემით,

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და
აუდიტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი თაბუაშვილი

იური დოლიძე

ძვირფასო საზოგადოებავ,

2017 წელი პირველი სრული წელი იყო ჩვენი სამსახურის შექმნიდან, აღსავსე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენებით.

ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურთან ერთად შევქმენით საქართველოში პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსი, ანგარიშგების პორტალი, რომელიც საწარმოების ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს მოიცავს. აღნიშნული პორტალი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრების განვითარებას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და ეკონომიკურ ზრდას. ამასთან, შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით შეიქმნა სისტემა, რომლის საშუალებითაც სუბიექტები შეძლებენ ანგარიშგების წარდგენას. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ არაერთი ნორმატიული აქტი, რომლებიც სამსახურსა და საზოგადოებას კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში ეხმარება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და აუდიტის პროცესების ხელშეწყობის მიზნით ქართულ ენაზე ვთარგმნეთ და სამოქმედოდ შემოვიღეთ ფასს სტანდარტები, მსს ფასს სტანდარტი და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც განთავსებულია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი.

მეოთხე კატეგორიის საწარმოებს განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდებათ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის კუთხით. ამ მიზნით, დიდი ბრიტანეთის „კარგი მმართველობის ფონდთან“ თანამშრომლობით დავიწყეთ მუშაობა მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე, რომელიც გაამარტივებს საწარმოთა ურთიერთობას ფინანსურ სექტორთან.

კაპიტალის ბაზრების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდპ-ის) ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ზრდა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია აუდიტორებზე. ამ მიმართულებით 2017 წელს განვახორციელეთ აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიული განვითარების მიზნით სამოქმედოდ შემოვიღეთ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტებისა (IES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებზე დაფუძნებული პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტები, რომელიც სწავლების, გამოცდისა და სერტიფიცირების მიმწოდებელი ინსტიტუციებისთვის სახელმღვანელო დოკუმენტი გახდა. ამასთან, ვაღიარეთ და რეესტრში ავსახეთ სამი განგრძობითი განათლების პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ამდენივე პროფესიული ორგანიზაცია.

გასული წელი გამორჩეული იყო ბიზნეს სექტორის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისითაც. საზოგადოებისთის რეფორმის შინაარსისა და სარგებლის უკეთესად აღქმის მიზნით საქართველოს მასშტაბით აქტიურად ვატარებდით ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს, რომლებსაც უძღვებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები. საზოგადოებასთან ურთიერთობის მსგავს პრაქტიკას მომავალშიც გამოვიყენებთ და მას უფრო რეგულარულ სახეს მივცემთ.

2017 წელი განსაკუთრებული იყო ჩვენთვის, რადგან სამსახური საბოლოოდ დაკომპლექტდა კვალიფიციური, პროფესიონალი, შემოქმედებითი და შრომისმოყვარე ადამიანებით. ეს ის ძალაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ღირსეულად გავუმკლავდეთ ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებს. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს გაწეული შრომისათვის.

აქვე, მინდა აღვნიშნო, ის დიდი როლი, რომელიც რეფორმის წარმატებულად განხორციელებისათვის საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფო უწყებებმა, პროფესიულმა და ბიზნეს საზოგადოებებმა შეასრულეს. მადლობა მათ, თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის!

ჩვენი მიზანია, საქართველო გახდეს კიდევ უფრო მიმზიდველი ქვეყანა ბიზნესისა და დასაქმებისთვის. ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოება გააგრძელებს რეფორმის მხარდაჭერას და ყველანი ერთად შევცვლით არსებულ გარემოს განვითარებისთვის!

სამსახურის უფროსი

ჩვენს შესახებ

რატომ

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ ახალ შესაძლებლობებთან ერთად რეგულაციისა და მონიტორინგის საჭიროებაც გააჩინა, რომელიც ქვეყანას ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შექმნასა და საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებაში დაეხმარება. შეთანხმების ფარგლებში საქართველომ აიღო ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტორული მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოების ვალდებულება.

მისია

საქართველოში დასაქმების შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საზედამხედველო სისტემის მეშვეობით, საზოგადოების უზრუნველყოფა საიმედო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციით.

რას ვქმნით

საჯარო და გამჭირვალე საზედამხედველო სისტემას, ასევე ქვეყანაში დღემდე არარსებულ უნიკალურ საინფორმაციო რესურსს, ანგარიშგების პორტალა და აუდიტორთა რეესტრს, რაც ამ სისტემის გამართული ფუნქციონირების ქვაკუთხედია და რომელიც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს სწორი ეკონომიკური/ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში.

საჯარო გახსნა

2017 წლის 21 ივნისს სამსახურის ოფიციალური საჯარო გახსნა გაიმართა. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ბიზნეს ასოციაციების, კერძო სექტორის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, დიპლომატიური მისიებისა და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ოფიციალურ საჯარო გახსნაზე განხილული იყო სამსახურთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის:

- სამსახურთან დაკავშირებული ძირითადი უპირატესობები და გამოწვევები;
- სამსახურის ძირითადი ფუნქციები, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობა;
- სამსახურის საინფორმაციო რესურსები და მისი მნიშვნელობა ბიზნესისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

საბჭო და სამსახურის სტრუქტურა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, სამსახურთან შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა კანონით. საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოში შეიძლება შეყვანილ იქნენ სამსახურის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები, რომლებიც საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ. საბჭო შედგება 7 წევრისაგან. საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი თაბუაშვილი

საბჭოს წევრები

მურთაზ კიკორია

ეკატერინე მიქაბაძე

ირაკლი თუთარაშვილი

ლევან საბაური

შოთა კომლაძე

გიორგი ვასაძე

მოწვეული წევრები

ანდრია მანელაშვილი

ვახტანგ კეშერაძე

ნიკოლოზ გაგუა



სალომე სხირტლაძე



- ანგარიშგების პორტალის მართვა
- ანგარიშგების წარდგენის პროცესის მონიტორინგი
- სუბიექტების ცნობიერების ამაღლება
- სტანდარტების თარგმნა/შემუშავება და სამოქმედოდ შემოღება

- აუდიტორთა რეესტრის მართვა
- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი
- აუდიტორული სტანდარტების თარგმნა/შემოღება
- პროფესიული განათლების სტანდარტების შემოღება
- სასერტიფიკაციო პროგრამების აღიარება
- პროფესიული ორგანიზაციების მონიტორინგი

- ადამიანური რესურსების მართვა
- დავების ადმინისტრირება
- საერთაშორისო ურთიერთობები

> სამსახური დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ფუნქციონირებს ერთიანი ცენტრალიზებული წესით.

გუნდი

სამსახურში 2017 წელს მუშაობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის საფუძველზე, 27 თანამშრომელი (20 საშტატო და 7 შტატგარეშე). ამასთან, სამსახური მუდმივად ახორციელებდა პრაქტიკანტების მიღებასა და მათ ჩართვას სამსახურის საქმიანობაში.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

26%

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

41%

სამსახურის აპარატი

33%





საერთაშორისო გამოცდილების მოძიება და გაზიარება

საერთაშორისო გამოცდილების მიღებისა და მოხელეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2017 წლის განმავლობაში სამსახური აქტიურად უზრუნველყოფდა თანამშრომლებს ტრენინგებით. სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში, რომელთა უმრავლესობაც მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსდა.

27, 28 თებერვალი

European Council-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა“ (თბილისი, საქართველო).

3, 7 აპრილი

IFIAR-ის მიერ ორგანიზებული პლენარული სხდომა (ტოკიო, იაპონია).

2017 წელს სამსახურს აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) სრულუფლებიანი წევრის სტატუსი მიენიჭა, რაც იძლევა გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის უფლებებს. IFIAR-ის წევრობა სამსახურს ორგანიზაციის სხვა წევრებთან კომუნიკაციის ზრდისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობის შესაძლებლობას აძლევს.

25, 27 აპრილი

მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული კონფერენცია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება (კიევი, უკრაინა).

ინფორმირებულობის ზრდა ევროკავშირში მიმდინარე პროცესებსა და მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

30, 31 მაისი

მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „პროფესული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“ და „მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების გამოწვევების განხილვა და პერსპექტივების იდენტიფიცირება“ (ვენა, ავსტრია).

პროფესიული განათლების სტანდარტების შექმნასა და დანერგვის პროცესში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. მცირე და საშუალო ფირმების გამოწვევების ანალიზი და ამ გამოწვევებთან გამკლავების გზები, შესაძლებლობების გაზრდის კუთხით რეკომენდაციები, პრაქტიკის გაზიარება.

13 ივნისი

აშშ-ს აუდიტის საზედამხედველო ორგანოს PCAOB-ის მიერ ორგანიზებული სატელეფონო სემინარი მონიტორინგის განხორციელების პრაქტიკის შესახებ (თბილისი, საქართველო).

21 22 ივნისი

მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „ბუღალტრული განათლების განვითარების ეროვნული ინიციატივა" (თბილისი, საქართველო).

10 11 ივლისი

თურქეთის აუდიტის საზედამხედველო ორგანოს (KGK) მიერ ორგანიზებული კონფერენცია (ანკარა, თურქეთი).

აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების რეესტრის, ფირმების წლიური ანგარიშგების სისტემის წარმოება, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგისა და აღსრულების პრაქტიკის გაზიარება. ტექნიკური და საკანონმდებლო თავისებურებების შესახებ ცოდნის მიღება, რეკომენდაციების მიღება სამსახურის აუდიტორთა რეესტრის გაუმჯობესების გზებთან დაკავშირებით.

17 აგვისტო

IFIAR-ის მიერ ორგანიზებული ვიდეო სემინარი მონიტორინგის განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ (თბილისი, საქართველო).

29 სექტემბერი

მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „აუდიტის რეფორმა უკრაინაში, მიმდინარეობა, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები" (კიევი, უკრაინა).

ინფორმაციის მიღება აუდიტის რეგულაციის მსოფლიო პრაქტიკისა და აუდიტის სტანდარტებში დანერგილ სიახლეებთან დაკავშირებით. აუდიტის ჩატარების თანამედროვე ტექნოლოგიების თავისებურებების გაცნობა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული XBRL-ის დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღება.

25 26 სექტემბერი

IFRS Foundation-ის მიერ ორგანიზებული კონფერენცია ახალი ფასს სტანდარტების შესახებ. (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი).

სიახლეების გაცნობა სტანდარტების დაწესების პროცესებსა და გეგმებში, შეთანხმდა IFRS for SMEs-ის ტრენინგების მოწყობა საქართველოში.

24 25 ოქტომბერი

მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „საბუღალტრო და აუდიტის რეგულაციების სრულყოფა: შესაბამისობის გაუმჯობესება უკეთესი აღსრულების გზით და მმართველობის ანგარიშგების მოთხოვნები" (ვენა, ავსტრია).

საერთაშორისო ექსპერტ ერიკ ვერმიულენთან ერთად მმართველობის ანგარიშგების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ღონისძიების საქართველოში ჩატარების თაობაზე შეთანხმება.

30 31 ოქტომბერი

ტრენინგი ფასს-ებში შეტანილი სიახლეების შესახებ (IFRS update) (თბილისი, საქართველო).

ფასს-ებში შეტანილი სიახლეების შესახებ (IFRS update) ინფორმაციის მიღება.

15 ნოემბერი

ტრენინგი ფასს-ებში შეტანილი სიახლეების შესახებ (IFRS update) (თბილისი, საქართველო).

ფასს-ებში შეტანილი სიახლეების შესახებ (IFRS update) ინფორმაციის მიღება.

საერთაშორისო ურთიერთობები

IFRS

ხელშეკრულება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის კორპორაციასთან

2017 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინიტროს, სამსახურსა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის კორპორაციას (IFRS Foundation Corporation) შორის გაფორმდა ხელშეკრულება ,,ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების მიღებისა და გამოქვეყნებისათვის მონაცემთა მიწოდების შესახებ''. ხელშეკრულების მიხედვით, სამსახურმა მიიღო უფლება თარგმნოს, სამოქმედოდ შემოიღოს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

IFAC International Federation of Accountants

ხელშეკრულება ფინანსთა სამინისტროსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC) შორის

2017 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC) შორის გაფორმდა ხელშეკრულება „საქართველოში გავრცელების მიზნით საერთაშორისო სტანდარტების გამოქვეყნების ნებართვის თაობაზე". ხელშეკრულების მიხედვით, სამსახურს, ქვემოთ მოცემული საავტორო უფლებებით დაცული მასალების რეპროდუცირების, გამოქვეყნებისა და არაკომერციული მიზნებით გავრცელების უფლება მიენიჭა

- ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი (2016-2017 წლის გამოცემა);
- ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (2016 წლის გამოცემა);
- წერითი გამოცდების მომზადება და მართვა - საინფორმაციო დოკუმენტი (გადამუშავებული, 2014 წლის გამოცემა).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სამსახური თანამშრომლობს უცხოელ ექსპერტებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მათ შორის, მსოფლიო ბანკთან, აზიის განვითარების ბანკთან, კარგი მმართველობის ფონდთან, ევროპის რეკონსტრუქციასთან, განვითარების ბანკთან და ა.შ).

თანამშრომლობა ადგილობრივ უწყებებთან

2017 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკთან, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან და ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა, რომელთა მიზანს სახელმწიფო უწყებების ერთმანეთთან კონსულტაცია და ურთიერთდახმარება წარმოადგენს. გარდა ამისა, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან, რომელიც ითვალისწინებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების სამსახურისთვის მიწოდებასა და სამსახურის მიერ მათ გასაჯაროებას ანგარიშგების პორტალის მეშვეობით.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო — მონაცემთა გაცვლის სააგენტო
- LEPL FINANCIAL MONITORING SERVICE OF GEORGIA — სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
- სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
- საქართველოს ეროვნული ბანკი

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ცხელი ხაზის მეშვეობით

2017 წლის განმავლობაში სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსულია

2500-ზე მეტი ზარი

ელ-ფოსტის მეშვეობით

2017 წელს სამსახურის ოფიციალურ ელ-ფოსტაზე (info@saras.gov.ge) 400-მდე პირისგან შემოვიდა

700-ზე მეტი წერილი

2017 შემოსული ზარები ეხებოდა:

- **საერთო საკითხები** - ვალდებულების შესრულების ვადები
- **ანგარიშგება** - კატეგორიის განსაზღვრა, კატეგორიების მიხედვით კანონის მოთხოვნები, ანგარიშგების მომზადება/წარდგენის ვალდებულება
- **აუდიტი** - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეგისტრაციის პროცესი, რეგისტრაციის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტები, რეგისტრაციის შეჩერება/შეწყვეტა
- **პროფესიული განათლება** - განგრძობითი განათლება, სასერტიფიკაციო პროგრამებისა და გამარტივებული სერტიფიცირების წესი

წლის განმავლობაში სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე **(www.saras.gov.ge)** შემოვიდა 55 ათასზე მეტი ვიზიტორი. ანგარიშგების პორტალზე კი, რომელიც 2017 წლის ბოლოს ამოქმედდ
რეჟიმში მუშაობს, 250 ვიზიტორი.

სამსახური საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისათვის ასევე იყენებს საინფორმაციო ხასიათის ელექტრონულ შეტყობინებებს, რომელიც იგზავნება შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებგვერდის შესაბამისი ჩანართის საშუალებით. გასულ წელს სამსახურის მიერ გაგზავნილია:

5000-ზე მეტი ელექტრონული შეტყობინება

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობა

ანგარიშგების პორტალი

ანგარიშგების პორტალი (www.reportal.ge) საქართველოში პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსია, რომელიც საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს მოიცავს. პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი გასაცნობად ნებისმიერი მომხმარებლისთვის. გამოქვეყნებული ანგარიშგებების სისრულეზე, სისწორესა და სამართლიანობაზე პასუხს აგებს სუბიექტი. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ანგარიშგების პორტალზე წარდგენილი ინფორმაციის ხარისხის უზრუნველსაყოფად.



- სუბიექტი ანგარიშგების წარდგენას ახორციელებს 2017 წელს შექმნილი ელექტრონული ჩანართის მეშვეობით, რომელიც შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზეა განთავსებული.
- სამსახური არ წყვეტს ამ მიმართულებით მუშაობას და მომავალი წელს გეგმავს ელექტრონული ჩანართის ტექნიკურ გამართვასა და გაუმჯობესებას. შემოსავლების სამსახურთან ამ მიმართულებით გრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა.

წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ევალებოდა ყველა იმ სუბიექტს, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ 2012 წლის კანონის შესაბამისად სავალდებულო აუდიტს ექვემდებარებოდა. 2017 წელს ფინანსური ანგარიშგება უნდა წარმოედგინა 193 სუბიექტს. ანგარიშგება წარმოადგინა 122-მა სუბიექტმა. 2017 წლის ბოლომდე წარდგენილი ანგარიშგებებიდან პორტალზე გასაჯაროვდა 35 ანგარიშგება.



სამსახურის წლიური ანგარიშის გამოშვების თარიღისთვის გასაჯაროებულია 91 ანგარიშგება.

2018 წელს სამსახური ელოდება I და II კატეგორიის სუბიექტების 500-მდე ანგარიშგების მიღებას.

სუბიექტები საქართველოში

ზომითი კატეგორია	აქტივი	შემოსავალი	დსრ	ფინანსური ანგარიშგება	მმართველობის ანგარიშგება	აუდიტი
სდპ				ფასს სტანდარტი	სავალდებულო	სავალდებულო
I კატეგორია	>50მლნ.	>100მლნ,	>250	ფასს სტანდარტი	სავალდებულო	სავალდებულო
II კატეგორია	<50მლნ.	<100მლნ.	<250	მსს ფასს სტანდარტი	სავალდებულო	სავალდებულო
III კატეგორია	<10მლნ.	<20მლნ.	<50	მსს ფასს სტანდარტი	ნებაყოფლობითი	ნებაყოფლობითი
IV კატეგორია	<1მლნ.	<2მლნ.	<10	ადგილობრივი სტანდარტი	ნებაყოფლობითი	ნებაყოფლობითი

პირველადი წარდგენა

I და II კატეგორია - 2018 წლის 1 ოქტომბრამდე

III და IV კატეგორია - 2019 წლის 1 ოქტომბრამდე



სუბიექტები ზომითი კატეგორიის მიხედვით



საზოგადოებრივი დაინტერესების პირები

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

მსს ფასს სტანდარტების შესახებ

2017 წლის ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში სამსახურის ორგანიზებით პარტნიორებთან ერთად მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესახებ **14** ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებებს შესაბამისი ზომითი კატეგორიის საწარმოთა **1600** მეტი წარმომადგენელი და პროფესიული საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. სამსახური მცირე და საშუალო საწარმოთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გეგმავს პრეზენტაციების გაგრძელებას მსს ფასს სტანდარტის მიმართულებით.

პრეზენტაცია ანგარიშგების წარდგენის პროცესის შესახებ

გასულ წელს სამსახურმა გამართა პრეზენტაცია ანგარიშგებების წარდგენისა და გასაჯაროების პროცესის შესახებ იმ სუბიექტებისთვის, რომლებსაც 2017 წელს ევალებოდათ ანგარიშგების წარდგენა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილ იქნა კანონის ძირითადი მოთხოვნები ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ასევე, რეალურ რეჟიმში განხორციელდა ანგარიშებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის ტექნიკური პროცესის დემონსტრაცია. დამსწრე აუდიტორიას ასევე წარედგინა ანგარიშგების პორტალის სტრუქტურა და ფუნქციონალი.

საერთაშორისო სტანდარტები

2017 წელს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა და სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS), ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ მიღებული ინტერპრეტაციები და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs).

ქართულად თარგმნილი სტანდარტები სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა. სამსახური ხელს უწყობს ფინანსურ სფეროში ტერმინშემოქმედებით პროცესს, რომელიც 2017 წელს დაიწყო და აქტიურად გრძელდება. ამ მიმართულებით, დაგეგმილია ონლაინ ლექსიკონის შექმნა, რომელიც სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება. ნებისმიერ პირს შეუძლია ტერმინოლოგიასა და რედაქტირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ნებისმიერ სამსახურს ელექტრონულ მისამართზე (Translation@saras.gov.ge) გაუზიაროს.

2017 წლის 19 სექტემბრიდან სამსახურში ახალი კომპიუტერული პროგრამა დაინერგა, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო რესურსს თარგმნისთვის, უზრუნველყოფს სათარგმნი ტექსტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სწრაფად და სწორად თარგმნასა და თარგმნილი მასალის დახარისხებას. გარდა ამისა, ფასს ფონდის მოთხოვნითა და სტანდარტების თარგმნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ფასს სტანდარტების თარგმნის ხარისხის შეფასების სამუშაო ჯგუფი (ექსპერტთა კომიტეტი), რომელიც გამოცდილი პროფესიონალებით დაკომპლექტდა.

IV კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი

IV კატეგორიის **80,000-მდე საწარმომ 2019 წლიდან სამსახურში უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება** მათთვის დადგენილი გამარტივებული სტანდარტის შესაბამისად, რომელსაც დიდი ბრიტანეთის „კარგი მმართველობის ფონდის“ (Good Governance Fund - GGF) მხარდაჭერით შეიმუშავებს სამსახური. სტანდარტზე მუშაობა 2017 წლის ბოლოს დაიწყო და **2018 წლის 1 ივლისამდე** დასრულდება. სტანდარტის მიზანია აღნიშნული საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და საფინანსო სექტორთან ურთიერთობის გამარტივება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით განხორციელდება სამსახურის დაკავშირება ევროკავშირის მსგავს ინსტიტუციებთან.

პროექტი ასევე ითვალისწინებს 2018 წლის ივლისი-ოქტომბრის პერიოდში ცნობიერების ამაღლების პრეზენტაციებსა და თვითსწავლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს შემუშავებას.

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობა

აუდიტორები და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრის მართვა

აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრი არის საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო რესურსი, სადაც ასახულია აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილების მქონე პირთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეგისტრაცია დაიწყო 2016 წლის 1 ნოემბერს და მათ რეგისტრაციას ახორციელებს სამსახური.

აუდიტორები

აუდიტორული ფირმები

რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორები და აუდიტორული ფირმები

	აუდიტორული ფირმა	აუდიტორი	მათ შორის, ინდივიდუალური აუდიტორი
2016	100	189	23
2017	239	436	111

რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორულ ფირმებში დასაქმებული პირები

	2016	2017	ზრდა/კლება
აუდიტორული მომსახურება	654*	1043*	59%
სხვა პროფესიული მომსახურება	715	1,169	63%
ადმინისტრაცია	224	418	87%

*შეიცავს რეესტრში რეგისტრირებულ პირებს

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

	ინდივიდუალური აუდიტორი	აუდიტორული ფირმა
2016	2,313,000	113,000,000
2017	12,133,000	162,500,000

რეესტრში რეგისტრირებული ინდივიდუალური აუდიტორების და აუდიტორული ფირმების შემოსავლები

(ათას ლარში)

	ინდივიდუალური აუდიტორი			აუდიტორული ფირმები		
	2016	2017	ზრდა/კლება	2016	2017	ზრდა/კლება
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	364	190	-48%	28,156	29,762	6%
სხვა აუდიტორული მომსახურება	391	271	-31%	4,786	8,139	70%
საბუღალტრო მომსახურეობა	422	492	16%	20,640	23,411	13%
საგადასახადო მომსახურეობა	47	129	174%	16,145	17,972	11%
ფინანსური მენეჯმენტის სფეროში გაწეული მომსახურეობა	26	29	11%	690	4,564	561%
სხვა მსგავსი ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურეობა	25	7	-74%	23,845	17,986	-25%

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი

სასმახურმა 2016 წლის ბოლოს 17 აუდიტორულ ფირმას მიანიჭა დროებითი უფლებამოსილება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისთვის.

სამსახურის ხელმძღვანელობის/უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ 2017 წლის აპრილში ჩატარდა წინასწარი შეხვედრები სდპ აუდიტის დროებითი უფლებამოსილების მქონე 17 აუდიტორული ფირმის ხელმღძვანელობასთან. ამ შეხვედრებზე სამსახურმა ფირმების ხელმძღვანელებისგან მოისმინა ინფორმაცია ფირმებში არსებული მდგომარეობის და მათი ხედვების შესახებ, ხოლო ფირმების ხელმძღვანელებს სამსახურის მიერ მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით წარიმართებოდა მონიტორინგის პროცესი.
.
2017 წლის 5, 25 და 27 მაისს სამსახურის მიერ პროფესიულ ორგანიაზაციებში მათი წევრი აუდიტორებისათვის გაკეთდა პრეზენტაციები, სადაც სამსახურის უფროსმა დაინტერესებულ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია კანონის, კანონქვემდებარე აქტებით მარეგულირებელი ნორმებისა და შესაბამისად, დაგეგმილი მონიტორინგის განხორციელების სპეციფიკაზე.

2017 წელს განახორციელდა დროებითი უფლებამოსილების მქონე სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი მოიცავდა:

- სდპ-ების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მქონე 17 აუდიტორული ფირმის შემოწმებას ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტთან (ხკსს 1) და რეგისტრაციის წესებთან შესაბამისობის კუთხით;
- აღნიშნულ ფირმებში რეგისტრირებული გარიგების პარტნიორების შემოწმებას მათ მიერ შესრულებული გარიგებების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

2017 წლის მონიტორინგის ფარგლები

17 შემოწმებული აუდიტორული ფირმები

33 შემოწმებული გარიგების პარტნიორები

37 შემოწმებული გარიგებების რაოდენობა

შემოწმებული 37 გარიგებიდან 22 გარიგება წარმოადგენდა სდპ-ების აუდიტს, რომლის საქმიანობების სფეროს პროცენტული წილების გადანაწილება შემდეგნაირია:



2017 წლის განმავლობაში შემოწმებული 17 აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებული შემოსავლის წილი ბაზარზე 2016 და 2017 წლებში:





მონიტორინგისას გამოვლენილი ფაქტები

მონიტორინგის შედეგად, აუდიტის გარიგებების დოკუმენტაციის შესწავლისას, ასევე ფირმის დონეზე ხარისხის კონტროლის სისტემების შესწავლისას გამოვლენილია ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტთან და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის 384 ფაქტი.

გამოვლენილი შეუსაბამობის ფაქტების დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო გარიგების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპზე ჩასატარებელ პროცედურებთან, ასევე აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის პოლიტიკისა და პროცედურების ნაკლოვანებებთან.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა აუდიტორული ფირმების მიერ კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის 5 ფაქტი. აუდიტორული ფირმის სახელითა და გარიგების პარტნიორის სტატუსით აუდიტის პროცესში მონაწილეობდნენ პირები, რომლებიც არ იყვნენ აუდიტორების რეესტრში გარიგების პარტნიორებად რეგისტრირებულნი. რიგ შემთხვევებში, აუდიტის დასკვნები არ იყო შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ ხელმოწერილი.



მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე ძირითად ნაკლოვანებებს წარმოადგენდა გარიგების გუნდის მიერ არასაკმარისად შესრულებული სამუშაოები სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლისთვის, თაღლითობისა და სხვა რისკების განხილვისთვის, ხოლო გარიგების შესრულების ეტაპზე ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების არარსებობა.

ფირმის დონეზე გამოვლენილ ძირითად ნაკლოვანებებს წარმოადგენდა გარიგების შესრულების პოლიტიკისა და პროცედურების შეუსაბამობა სტანდარტებთან, რომელიც ძირითადად ეხებოდა გარიგების მიმოხილვის ნაკლოვანებას, კონსულტაციების გავლის პოლიტიკის არაეფექტურობასა და სხვა მეთოდოლოგიურ ხარვეზებს. ასევე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებიც დაკავშირებული იყო შრომითი რესურსების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან.

მონიტორინგის შედეგები

სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე უფლებამოსილება აუდიტორული ფირმებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის



სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე უფლებამოსილება გარიგების პარტნიორებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის



ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შესაბამისი სტანდარტით განხორციელების მიზნით სამსახური გეგმავს პროგრამა „პენტანა“-ს დანერგვას, რომელიც აერთიანებს აუდიტის საუკეთესო გამოცდილებას და რისკების ბიბლიოთეკას, ხასიათდება გამოყენების სიმარტივით და თანამედროვე ინტერფეისით

სტანდარტების თარგმნა

2017 წელს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ქართულ ენაზე ითარგმნა და სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებულ იქნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი, ასევე, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით გათვალისწინებული სტანდარტები. ქართულად თარგმნილი სტანდარტები სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული. მაღალი ხარისხით თარგმნის სისწორის, ტერმინთა შეთანხმებისა და სამოქმედოდ შემოღების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ექსპერტთა კომიტეტი), რომელიც ამ სფეროში მოღვაწე გამოცდილი პროფესიონალებით დაკომპლექტდა.

აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერა

2017 წლის 11-13 დეკემბერს, აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები საქართველოს საკონსულტაციო მისიით ეწვივნენ სამსახურის ინსტიტუციონალური გაძლიერებისა და აღრიცხვა-აუდიტის სფეროში მიმდინარე რეფორმის მხარდაჭერის შესაძლო გზების განსახილველად.

აღნიშნული მისიის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგად, აზიის განვითარების ბანკმა დაამტკიცა პროექტი, რომელიც რეგიონის მასშტაბით მიმდინარე, „აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის“ ტექნიკური მხადაჭერის განხორციელების პროგრამის ნაწილია.

პროექტი მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის რეგულაციებისა და პროცესების სრულყოფა;
- სამსახურის ქმედუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული ფირმების ქმედუნარიანობის ზრდა;
- პროფესიული ორგანიზაციების ქმედუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- კონსულტაციები ბუღალტრების სერტიფიცირების მიდგომებთან დაკავშირებით.

პროექტი 2018 წლის პირველ თვეებში დაიწყება და წლის ბოლოსთვის დასრულდება.

პროფესიული და განგრძობითი განათლება

ბუღალტერთა და აუდიტორთა განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით სამსახურმა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტებისა (IES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებზე დაფუძნებული პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტები დაადგინა, რომელიც სწავლების, გამოცდისა და სერტიფიცირების მიმწოდებელი ინსტიტუციებისთვის სახელმღვანელო დოკუმენტი გახდება.

სამსახური დადგენილი წესის მიხედვით აღიარებს პროფესიული სასწავლო პროგრამებს, განგრძობითი განათლების კურსებს და საგამოცდო პროცესებს, რომლებიც იქნება შესაბამისობაში სამსახურის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

განგრძობითი განათლების სტანდარტი მიზნად ისახავს სერტიფიცირებული ბუღალტრის კვალიფიკაციის შენარჩუნებას და განსაზღვრავს განგრძობითი განათლების პროგრამას, მისი განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს. სტანდარტის თანახმად, სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია ყოველწლიურად, დადგენილი წესით შეასრულოს განგრძობითი განათლების მოთხოვნა.

სამსახური უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესების, პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების პროგრამების რეესტრის წარმოებას. აღიარებული პროგრამების რეესტრები განთავსდება სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრისა (CFRR) და სამსახურის მიერ STAREP პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სემინარი თემაზე: „ეროვნული ინიციატივები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების გასაძლიერებლად“. აღნიშნული სემინარის ფარგლებში მიმოიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: განათლების საერთაშორისო სტანდარტები, პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ახალი კანონით განსაზღვრული რეფორმის ბოლოდროინდელი ინიციატივები, სამსახურის მიერ წარმოდგენილი სტანდარტებისა და წესების პროექტები.

საგამოცდო პროცესის და განათლების პროგრამების აღიარება

2017 წლის განმავლობაში სამსახურს აღიარებისთვის პროფესიული ორგანიზაციების მიერ წარედგინა ერთი საგამოცდო პროცესი, ერთი პროფესიული სერტიფიცირებისა და სამი განგრძობითი განათლების პროგრამა.

სამსახურმა აღიარა და რეესტრში ასახა სამი განგრძობითი განათლების პროგრამა, რომლის მიხედვითაც სერტიფიცირებულმა ბუღალტრებმა გაიარეს განგრძობითი განათლების კურსი და შესაბამისად დააკმაყოფილეს კანონის მოთხოვნა განგრძობითი განათლების გავლის შესახებ.

აღიარებული სამი განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში აუდიტორებმა და სერტიფიცირებულმა ბუღალტრებმა გაიარეს კანონმდებლობებისა და სტანდარტების სიახლეების შესახებ სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემატიკებს:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;
- ხარისხის კონტროლისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს;
- პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს;
- სფეროს მარეგულირებელ, საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობას.

განგრძობითი განათლების პროგრამას ახორციელებდნენ შემდეგი პროფესიული ორგანიზაციები:

- საქართველოს პროფესიონალ ბუღლტერთა და აუდიტორთა ფედერაცია;
- საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება;
- საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია.

სამსახურმა 2017 წელს განახორციელა აღნიშნული პროფესიული ორგანიზაციებისთვის აღიარებული განგრძობით განათლების პროგრამების მონიტორინგი.

გამოცემული ნორმატიული აქტები

სამსახურმა 2017 წლის განმავლობაში 10 ნორმატიული აქტი (ბრძანება) დაამტკიცა, რომელთა შემუშავებისას გაზიარებულ იქნა ევროკავშირის წევრი და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა.

01 პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი

2017 წლის 24 მარტს სამსახურმა დაამტკიცა „პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი", რომელიც განსაზღვრავს გამარტივებული წესით ტესტირების ადმინისტრირებას და პროცედურებს იმ პირთა პროფესიულ სერტიფიცირებასთან მიმართებაში, რომლებიც არანაკლებ 7 წლის განმავლობაში ასრულებდნენ გარიგების პარტნიორის უფლებამოსილებას კანონის ამოქმედებამდე და არ არიან სერტიფიცირებული ბუღალტრები ამავე კანონის შესაბამისად.

02 დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის განსაზღვრის წესი

2017 წელი 28 ივნისს სამსახურმა დაამტკიცა „საანგარიშგებო პერიოდის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის განსაზღვრის წესი და პრაქტიკული მაგალითები", რომლის მიზანია სუბიექტებს დეხმაროს მაქსიმალურად ზუსტად და სამართლიანად ასახონ საწარმოში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა. წესის შემუშავებისას გაზიარებულ იქნა ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა.

03 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი

2017 წელი 12 ივლისს სამსახურმა დაამტკიცა „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი", რომელიც განსაზღვრავს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის მიერ აუდიტორის და აუდიტორული ფირმის და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების ადმინისტრირების საფუძვლებს, სამსახურის მიერ რისკის მართვის, პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული დიაგნოსტიკური ანგარიშის წარდგენის, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ პროცედურების გონივრულად და სამართლიანად წარმართვის, წინასწარი და საბოლოო შედეგების განხილვის, რეკომენდაციის გაცემის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს.

04 განგრძობითი განათლების სტანდარტი

2017 წელი 18 აგვისტოს სამსახურმა დაამტკიცა „განგრძობითი განათლების სტანდარტი", რომელიც სერტიფიცირებული ბუღალტრის კვალიფიკაციის შენარჩუნებისთვის განსაზღვრავს განგრძობითი განათლების პროგრამას და მისი განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს.

05 სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2017 წელი 18 აგვისტოს სამსახურმა დაამტკიცა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები" სამსახურში არსებული თანამდებობების სპეციფიკისა და ამ თანამდებობებისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით.

06 ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის წესი

2017 წლის 18 სექტემბერს სამსახურმა დაამტკიცა „სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის, მესამე კატეგორიის სანარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების, ანგარიშგების პორტალის სტრუქტურისა და მომხმარებელთა რეგისტრაციის წესი", რომელშიც დეტალურად არის მოცემული სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის სამსახურისთვის ელექტრონულად წარდგენის პროცესი და ასევე წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესები. ბრძანების შესაბამისად, აშოქმედდა ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის ჩანართი ვებგვერდზე - www.eservices.rs.ge.

07 პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესი

2017 წელი 25 სექტემბერს სამსახურმა დაამტკიცა „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი" და „სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესი", რომელიც განსაზღვრავს საქართველოში პირთა ბუღალტრად სერტიფიცირებისთვის სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესების აღიარების წესებს.

დოკუმენტი მოიცავს იმ პროცედურულ საკითხებს, რომელიც დაეხმარება სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელ პირებს, ჩაითვალონ როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე გავლილი სასწავლო კურსები (საგნები). დოკუმენტი ასევე ეხება იმ პირებს, რომლებიც აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისათვის გადიან 3 წლიან აუდიტორულ პრაქტიკას ზედამხედველი აუდიტორის ზედამხედველობის ქვეშ.

08 მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღება

2017 წლის 31 ოქტომბერს სამსახურმა ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (2015 წლის რედაქცია), რომელიც განთავსდა სამსახურის ვებგვერდზე.

09 აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღება

2017 წელი 4 დეკემბერს სამსახურმა დაამტკიცა „ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ". ბრძანებით სამსახურმა ქართულ ენაზე შემოიღო:

- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);
- აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი

და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით გათვალისწინებული:

- ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი;
- აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები.

10 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღება

2017 წლის 26 დეკემბერს სამსახურმა ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც განთავსდა სამსახურის ვებგვერდზე.ვებგვერდზე.

სამსახურის ბიუჯეტი

სამსახური 2017 წელს სრულად დაფინანსდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 876 ათასი ლარით. 2017 წელს სამსახურმა გამოყოფილი სახსრები 87.44%-ით აითვისა. 2018 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამსახურისთვის გამოიყო 1 მლნ. ლარი, მათ შორის, შრომის ანაზღაურებაზე 750 ათასი ლარი, ხოლო 250 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებაზე.



2018 წლის მიზნები და ამოცანები

VI-XII

- მსს ფასს სტანდარტის მიმართულებით ტრენინგების ჩატარება ტრენერებისათვის და სატრენინგო მასალების ქართულად თარგმნა.

VI

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებების ქართულ ენაზე თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება.
- IV კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დადგენა.
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დადგენა.
- სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტების მუდმივი გადასინჯვა საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

II

- მმართველობის ანგარიშგების სახელმძვანელოს შემუშავება და გასაჯაროება.

I-XII

- ცნობიერების ამაღლების მიზნით პრეზენტაციების ჩატარება IV კატეგორიის საწარმოების სტანდარტის მიმართულებით.
- მცირე და საშუალო საწარმოთა ცნობიერების ამაღლების მიზნით პრეზენტაციების ჩატარება მსს ფასს სტანდარტის მიმართულებით.
- საწარმოთა ცნობიერების ამაღლების მიზნით პრეზენტაციების ჩატარება საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით.
- მმართველობის ანგარიშგების სახელმძვანელოს შესახებ ცნობიერების ამაღლების პრეზენტაციების ჩატარება.

I-XII

- ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის ტექნიკური გამართვა და გაუმჯობესება.
- სამუშაო შეხვედრები სუბიექტებთან ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის ტექნიკური პროცესების ასახსნელად.

III-VI

- ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო მითითების შემუშავება.
- მმართველობის ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით სარეკომენდაციო მითითების შემუშავება.

I-XII

- ანგარიშგების პორტალისა და აუდიტორთა რეესტრის მართვა, შემდგომი დახვეწა, წარდგენილი ანგარიშგებების რისკზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა.

XII

- პროგრამა „პენტანა“-ს (Pentana) დანერგვა, რომელიც აერთიანებს აუდიტის საუკეთესო გამოცდილებას და რისკებისა არქივს, ხასიათდება გამოყენების სიადვილით და თანამედროვე ინტერფეისით.

VII-

- ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის (TWINNING INSTRUMENT) ფარგლებში სამსახურის ხელშეწყობა პროფესიული შესაძლებლობების განვითარებისთვის.

IX

- პროფესიული სერტიფიცირების ბაზარზე არსებული და ახალი პროგრამების აღიარება.
- განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარება.
- სამსახურის მიერ აღიარებული სწავლების, გამოცდისა და სერტიფიცირების მიმწოდებელი ინსტიტუციების მონიტორინგი.

VII

- მოხელის შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის დანერგვა, რომელიც მიმართულია მოხელის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისებისა და პროფესიული განვითარებისაკენ.

XII

- ხარისხის კონტროლის (ISQC), აუდიტის (ISA), მიმოხილვის (ISRE), სხვა მარწმუნებელი (ISAE) და დაკავშირებული (ISRS) მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის განახლებული ვერსიის თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება.

I-XII

- აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეგისტრაცია და საზოგადოებისთვის მათზე დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
- კანონთან შესაბამისობის მოკვლევა.
- აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

ცვლილება განვითარებისთვის

ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის N1

info@saras.gov.ge

+(995 32) 226 22 26

დიზაინერი | ოთარი რეხვიაშვილი